# საქართველოს იუსტიციის მინისტრის

## ბრძანება №511
## 2020 წლის 31 მარტი

## ქ. თბილისი

## საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ნოტარიუსთა პალატის საქმიანობისა და ნოტარიუსთა მიერ მომსახურების წესებისა და პირობების დადგენის შესახებ

„ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენლებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-11 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

1. ამ ბრძანების მოქმედების პერიოდში ნოტარიუსებს ეკრძალებათ ამ ბრძანებით დადგენილი წესით გაუთვალისწინებელი ყოველგვარი სანოტარო საქმიანობა.
2. ნებადართულია ნოტარიუსის მიერ დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის არხებით სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა.

3. სანოტარო მომსახურება ხელმისაწვდომი იქნება შემდეგი პირობებით:

ა) სანოტარო მომსახურების მიწოდებისთვის იქმნება დროებითი სანოტარო ბიუროები (შემდგომ –დროებითი ბიურო) შემდეგ მისამართებზე:

ა.ა) თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1 (სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური შესასვლელი);

ა.ბ) თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2 (თბილისის იუსტიციის სახლის შენობის უკან მხარეს მდებარე ქორწინების სახლი);

ა.გ) თბილისი, უზნაძის ქ. №2 (ქორწინების სახლი);

ა.გ[1]) თბილისი, წერეთლის გამზ. №8 (სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ოფისი);

ა.გ[2]) თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №68 (სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფისი);

ა.გ[3]) თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კილომეტრი (სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის შენობა);

ა.დ) ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №70;

ა.ე) ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №20 (სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის შენობა);

ა.ვ) ზუგდიდი, თეატრის ქ. №2 (ზუგდიდის იუსტიციის სახლის შენობაში მდებარე ქორწინების სახლი);

ა.ზ) ახალქალაქი, თავისუფლების ქ. №93;

ა.თ) თელავი, შოთა რუსთაველის ქ. №83 (სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის კახეთის რეგიონული არქივის შენობა);

ა.ი) ოზურგეთი, იოანე პეტრიწის ქ. №9 (ოზურგეთის იუსტიციის სახლის შენობაში მდებარე ქორწინების სახლი);

ა.კ) რუსთავი, მეგობრობის გამზ. №29 (რუსთავის იუსტიციის სახლის მიმდებარედ არსებული ქორწინების სახლი;

ა.ლ) გორი, გურამიშვილის ქ. №7 (გორის იუსტიციის სახლის შენობაში მდებარე ქორწინების სახლი);

ბ) დროებითი ბიუროების გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სსიპ – საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (შემდგომ – პალატა);

ბ[1]) დროებით ბიუროებში მოხვედრის მიზნით სანიტარიული უსაფრთხოების ზომების დაცვას უზრუნველყოფენ პალატა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სტრუქტურული ერთეული – აღსრულების პოლიციის სამმართველო (შემდგომ – აღსრულების პოლიცია). ამ ბრძანებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების შესრულებისას, აღსრულების პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ატაროს უნიფორმა, მაგრამ ეკრძალება ცეცხლსასროლი იარაღის ტარება;

ბ[2]) სანოტარო მომსახურების მისაღებად განმცხადებელი ვალდებულია მოქალაქის პორტალის (my.gov.ge) მეშვეობით განახორციელოს მომსახურების მიღების დროისა და ადგილის წინასწარ შეთანხმება (დაჯავშნა). დროებითი სანოტარო ბიუროს სივრცეში მოქალაქის დაშვება და სანოტარო მომსახურების გაწევა ხორციელდება მოქალაქის პორტალზე (my.gov.ge) განხორციელებული ჯავშნის კოდის წარმოდგენის შემდეგ;

გ) დროებით ბიუროში ნოტარიუსები ახორციელებენ სანოტარო მომსახურებას წინასწარ განსაზღვრული მორიგეობის განრიგის მიხედვით. მორიგეობის განრიგს ადგენს პალატის გამგეობა თბილისში მცხოვრები ნოტარიუსების გვარის ანბანური თანმიმდევრობის პრინციპით. მორიგეობაში ჩართული იქნებიან მხოლოდ ის ნოტარიუსები, რომლებიც წინასწარ გამოხატავენ თანხმობას დროებით ბიუროებში სერვისის მიწოდებაზე;

დ) ნოტარიუსი, რომელიც დროებით ბიუროში ახორციელებს სანოტარო მომსახურებას, ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი დამხმარე პერსონალის ადგილზე მობილიზება მისი სამუშაო დღის განმავლობაში. პერსონალის სიმცირის შემთხვევაში პალატა უზრუნველყოფს დამატებითი პერსონალის მობილიზებას ნოტარიუსის დახმარების მიზნით;

ე) დროებით ბიუროში სანოტარო მომსახურებას არ შეიძლება ახორციელებდეს ნოტარიუსი ან პერსონალის ისეთი თანამშრომელი, რომელიც იმყოფება თვითიზოლაციაში ან კარანტინში, ან აღენიშნება ვირუსისთვის დამახასიათებელი რომელიმე სიმპტომი (ტემპერატურა 37 გრადუსზე ზემოთ, ხველება და სხვა);

ვ) ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა ვრცელდება ასევე სანოტარო მომსახურების მომხმარებელზეც. პირები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ასეთ პირობებს, არ დაიშვებიან დროებით ბიუროში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გარემოებები გამოვლინდა პირის ბიუროში ყოფნის მომენტში, ნოტარიუსი/პალატა/აღსრულების პოლიცია უფლებამოსილია მოსთხოვოს პირს – ბიუროს დაუყოვნებლივ დატოვება და ამ ვალდებულების შესასრულებლად გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები;

ვ[1]) არასრულწლოვანი, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს გარიგებაში, არ დაიშვება დროებითი ბიუროს ტერიტორიაზე. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვას უზრუნველყოფს პალატა/აღსრულების პოლიცია;

ზ) პალატა/აღსრულების პოლიცია უზრუნველყოფს ამ პუნქტის „ე“, „ვ“ და „ვ[1]“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობების შემოწმებას;

თ) პალატა ასევე უზრუნველყოფს სამუშაო პროცესში ნოტარიუსის, მისი პერსონალის და მომხმარებლების მაქსიმალურ დაცულობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად (მათ შორის, დროებითი ბიუროების დეზინფექციას რეკომენდებული პერიოდულობით);

ი) სანოტარო მოქმედებები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც დადგენილია ამ ბრძანებით;

კ) იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო ნოტარიუსი ვერ ასრულებს დროებით ბიუროში მომსახურებას, პალატა ვალდებულია უზრუნველყოს მისი ჩანაცვლება განრიგის მიხედვით სხვა ნოტარიუსით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მომსახურების შეფერხება;

ლ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნებართვით დასაშვებია დროებით ბიუროში სხვა რომელიმე ნოტარიუსის მონაწილეობით ცალკეული სანოტარო მოქმედებების შესრულება, თუ კონკრეტულ ნოტარიუსთან სანოტარო მომსახურების მიღება წარმოადგენს მხარეთა სურვილს და ისინი შეუთანხმდებიან ნოტარიუსს ამის შესახებ. ასეთი მომსახურების გაწევამ ხელი არ უნდა შეუშალოს დროებითი ბიუროს ძირითად საქმიანობას ან რაიმე ფორმით შეაფერხოს იგი;

მ) ნოტარიუსი, ასევე მისი პერსონალი უნდა იყოს აღჭურვილი დამცავი ნიღბითა და ხელთათმანებით. ნოტარიუსმა არ უნდა დაუშვას სანოტარო მომსახურების გაწევის პროცესში დროებით ბიუროში ერთ დამხმარე თანამშრომელზე მეტის ყოფნა დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში;

ნ) დროებითი ბიუროს სამუშაო საათები განისაზღვრება ორშაბათიდან კვირის ჩათვლით (გარდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ მიხედვით განსაზღვრული უქმე დღეებისა), 8:00 საათიდან 18:00 საათამდე. აღსრულების პოლიცია ზედამხედველობს ნოტარიუსის მიერ დროებითი ბიუროს 18.00 საათზე დახურვას და ტერიტორიას ტოვებს ნოტარიუსის შემდეგ.

$3^1$. ამ ბრძანების მიზნებისათვის, „პერსონალი“ გულისხმობს პირს, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე მუდმივად იყო დასაქმებული მორიგე ნოტარიუსის სანოტარო ბიუროში „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-13 მუხლით გათვალისწინებულ სანოტარო ბიუროს თანამშრომლად, იღებდა შესაბამის ანაზღაურებას და ნოტარიუსის მიერ განსაზღვრული ფორმით მონაწილეობდა სანოტარო საქმიანობის განხორციელებაში.

4. მხოლოდ პალატის გამგეობის წინასწარი გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი დაინტერესებული პირებისთვის შემდეგი სანოტარო მომსახურების გაწევა:

ა) დოკუმენტის შენახვა (ცვლილება/გაუქმება);

ბ) საზღვაო პროტესტის შესრულება (ცვლილება/გაუქმება);

გ) მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება (ცვლილება/გაუქმება);

დ) მოქალაქის იგივეობის დადასტურება ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან (ცვლილება/გაუქმება);

ე) დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება (ცვლილება/გაუქმება);

ვ) იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადასტურება (ცვლილება/გაუქმება);

ზ) განცხადების ან უწყების ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გადაცემის ან გადაცემის შეუძლებლობის შესახებ მოწმობის გაცემა (ცვლილება/გაუქმება);

თ) სამკვიდრო მოწმობის გაცემა (ცვლილება/გაუქმება);

ი) უმკვიდრო ქონების სახელმწიფოს ან სხვა უფლებამოსილი სუბიექტისათვის გადაცემის შესახებ მოწმობის გაცემა (ცვლილება/გაუქმება);

კ) გასანაღდებლად ჩეკის წარდგენა და ჩეკის გაუნაღდებლობის დადასტურება (ცვლილება/გაუქმება);

ლ) თამასუქის პროტესტის შესრულება (ცვლილება/გაუქმება);

მ) საარქივო დოკუმენტის ასლის დამოწმება და გაცემა, გარდა იმ სანოტარო აქტისა, რომელიც შედგენილია (რეგისტრირებულია) სხვა ნოტარიუსის მიერ და ხელმისაწვდომია ელექტრონული წესით;

ნ) გარიგების დამოწმება რამდენიმე ნოტარიუსის მონაწილეობით;

ო) სანოტარო მედიაცია;

პ) დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორის დამოწმება.

$4^1$. ამ ბრძანების მოქმედების პერიოდში ექსტრაკორპორული განაყოფიერების შესახებ დადებული ხელშეკრულების საჯარო ან კერძო სანოტარო აქტით დამოწმება, მათ შორის, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით, არ დაიშვება, თუ ბავშვის მშობლებიდან ერთ-ერთი მაინც უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

5. ამ ბრძანების მე-4 პუნქტით დადგენილი მომსახურების მისაღებად დაინტერესებული პირი წინასწარ მიმართავს პალატას შესაბამისი მოთხოვნით მომსახურების გაწევაზე, სადაც ვალდებულია დაასაბუთოს, რომ მომსახურების მიღება მისთვის გადაუდებლად აუცილებელია. გადაუდებელ აუცილებლობად ჩაითვლება ისეთი ვითარება, როდესაც მომსახურების მიუღებლობის შემთხვევაში:

ა) დაინტერესებულ პირს შეიძლება ხელი შეეშალოს მნიშვნელოვანი სამართლებრივი ვალდებულების შესრულებაში;

ბ) გავიდეს ვადები, რომლის განმავლობაშიც დაინტერესებულ პირს აქვს ვალდებულება შეასრულოს განსაზღვრული სამართლებრივი მოქმედება და ეს იწვევს შეუქცევად შედეგებს დაინტერესებული პირისთვის;

გ) დაინტერესებულ პირს მიადგება მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი და არ არის ხელმისაწვდომი ზიანის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი მექანიზმი.

6. დაევალოს პალატას, გაავრცელოს ინფორმაცია ამ ბრძანებით დადგენილი წესების შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ასევე საზოგადოებასთან კომუნიკაციის იმ არხების გამოყენებით, რომლის მეშვეობითაც ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის ინფორმაცია სანოტარო მომსახურების შესახებ. პალატამ უზრუნველყოს ამ ბრძანებით დადგენილი პროცედურების შესახებ ინფორმაციის ამ ბრძანების გამოცემის დროისთვის მოქმედი ნოტარიუსის სამუშაო ადგილზე, მომხმარებლისთვის თვალსაჩინოდ განთავსება.

$6^1$. დაევალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, უზრუნველყოს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების უნარიანობის ხარისხისა და მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს არსებობის შესაფასებლად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სანოტარო ბიუროების ინსპექტირება (ადგილმდებარეობის დახასიათება, ბიუროს ფართისა და ზოგადი მდგომარეობის აღწერა, დასურათება და სხვ.). საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ინსპექტირება დასრულდეს 2020 წლის 25 მაისამდე. ინსპექტირების შედეგები ეტაპობრივად მიეწოდოს საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

7. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია უფლებამოსილია შეამოწმოს ამ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება. ამ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების

დარღვევის შემთხვევაში ნოტარიუსს ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა და მას ეკრძალება ხელმეორედ დროებით ბიუროში სანოტარო მომსახურების განხორციელება.

*საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 5 აპრილის ბრძანება №512 - ვებგვერდი, 05.04.2020 წ.*
*საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 9 აპრილის ბრძანება №517 - ვებგვერდი, 09.04.2020 წ.*
*საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 13 აპრილის ბრძანება №519 - ვებგვერდი, 13.04.2020 წ.*
*საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 29 აპრილის ბრძანება №523 - ვებგვერდი, 29.04.2020 წ.*
*საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 29 აპრილის ბრძანება №523 - ვებგვერდი, 29.04.2020 წ.*
*საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 4 მაისის ბრძანება №527 - ვებგვერდი, 04.05.2020 წ.*
*საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 14 მაისის ბრძანება №538 - ვებგვერდი, 14.05.2020 წ.*

**მუხლი $1^1$**

1. დასაშვებია ქ. თბილისში იმ სანოტარო ბიუროს გახსნა, რომელიც, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აკმაყოფილებს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-12 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, და:

ა) მისი საერთო ფართობი, სველი წერტილის გარდა, არანაკლებ 30 $m^2$-ია;

ბ) სანოტარო ბიურო ან მისი ნაწილი არ მდებარეობს შენობის ნულოვანი ნიშნულის ქვევით;

გ) ნოტარიუსის სამუშაო ოთახი სხვა ოთახებისაგან გამოყოფილია, არ არის არავისთან საზიარო და აქვს შესაბამისი ფართობის ფანჯარა;

დ) მოქალაქეთა მისაღები ან მოქალაქეთა მოსაცდელი სივრცის ფართობი არანაკლებ 15 $m^2$-ია და აქვს შესაბამისი ფართობის ფანჯარა, ხოლო თუ მოქალაქეთა მისაღები ან მოქალაქეთა მოსაცდელი სივრცე იმავდროულად ნოტარიუსის თანაშემწის სამუშაო ოთახია – მისი ფართობი არანაკლებ 20 $m^2$-ია;

ე) თუ ნოტარიუსის თანაშემწისათვის განკუთვნილ სამუშაო სივრცეში არ ხდება მოქალაქეთა მიღება და ამ სივრცეს არ აქვს ფანჯარა, შესაძლებელია მისი ბუნებრივი გზით განიავება;

ვ) მოქალაქისთვის განკუთვნილი ოთახის მოპირდაპირე კედლებს შორის მანძილი არანაკლებ 3 მეტრია;

ზ) სანოტარო ბიუროში თარჯიმნის მუშაობის შემთხვევაში, სანოტარო ბიუროს ფართობი არანაკლებ 40 $m^2$-ია და თარჯიმანს აქვს ცალკე გამოყოფილი სამუშაო ოთახი;

თ) სანოტარო ბიუროში ერთდროულად ნოტარიუსის ორზე მეტი თანამშრომლის (თანაშემწე, თარჯიმანი ან სხვა) შემთხვევაში, სანოტარო ბიუროს საერთო ფართობი არანაკლებ 50 $m^2$-ია.

2. სანოტარო ბიუროს გახსნის ნებართვის მისაღებად ნოტარიუსმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციაში (დეპარტამენტში) უნდა წარმოადგინოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სამუშაო ფართობების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან 2019-2020 წლებში შედგენილი აზომვითი ნახაზი). ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სხვა პირობების შესამოწმებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ამ ბრძანების პირველი მუხლის $6^1$ პუნქტით გათვალისწინებული ინსპექტირების ჩატარების შედეგად შედგენილი და სამინისტროში წარდგენილი შემოწმების აქტები და შესაბამისი ფოტოილუსტაციები.

*საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 18 მაისის ბრძანება №540 - ვებგვერდი, 18.05.2020 წ.*

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 1 აპრილიდან და მოქმედებს „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მოქმედების ვადით.

**საქართველოს იუსტიციის მინისტრი** **თეა წულუკიანი**